ხელშეკრულება

მაუწყებლობის ფასიანი ტრანზიტის შესახებ

თბილისი 28/09/2018

ერთი მხრივ **შპს "ტელეიმედი"** (შემდგომში მოხსენიებული როგორც "კომპანია"), წარმოდგენილი ქალბატონი ლანა ბერულავას (პ/ნ 01008020826) სახით, რომელიც მოქმედებს სანოტარო წესით გაცემული მინდობილობის/რწმუნებულების (რეგ N 180802586, ინდ N 16705297483218) საფუძველზე და მეორე მხრივ შპს **"ჯეო ჩენელზ"**, წარმოდეგენილი დირექტორის ზაზა აგლაძის სახით (შემდგომში მოხსენიებული როგორც "ტრაზიტორი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ტერმინები**

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ***"ტელეარხი იმედი"*** - წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული სამაუწყებლო საქმიანობის ავტორიზაციის ფარგლებში (N BR-264) მოქმედი იურიდიული პირი (შპს ტელეიმედი (ს/კ: 202188612)), რომელიც ახორციელებს ტელემაუწყებლობას ტელეკომპანია იმედის სახელწოდების, სასაქონლო ნიშნის ან/და ლოგოს გამოყენებით;

1.2. ***"ტელეარხი მაესტრო"*** - წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული სამაუწყებლო საქმიანობის ავტორიზაციის ფარგლებში (N BR-385) მოქმედი იურიდიული პირი (შპს სტუდია მაესტრო (ს/კ: 236080557)), რომელიც ახორციელებს ტელემაუწყებლობას ტელეკომპანია მაესტროს სახელწოდების, სასაქონლო ნიშნის ან/და ლოგოს გამოყენებით;

1.3. ***"ტელეარხი GDS"*** - წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული სამაუწყებლო საქმიანობის ავტორიზაციის (N BR-958) ფარგლებში მოქმედი იურიდიული პირი (შპს ჯი დი ეს თივი (ს/კ: 404947475)), რომელიც ახორციელებს ტელემაუწყებლობას ტელეკომპანია GDS - ის სახელწოდების, სასაქონლო ნიშნის ან/და ლოგოს გამოყენებით;

1.4. ***"მაუწყებლობის ტრანზიტი"*** - ტრანზიტორის მიერ მაუწყებლისაგან ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ტელე-არხის უცვლელი სახით (ტელე-პროგრამებში სარედაქციო ცვლილებების შეტანის გარეშე) გადაცემა და ბოლო მომხმარებლისათვის მიწოდება ტრანზიტორის ქსელის მეშვეობით;

1.5. ***რეალური დროის რეჟიმი*** _ მაუწყებლობის ტრანზიტი, ტრელეარხის(ტელეარხების) შემადგენელი ცალკეული პროგრამების, გადაცემების ეთერში გაშვება თანმიმდევრობის, ქრონომეტრაჟის ნებისმიერი ცვლილების გარეშე;

1.6. ***არარეალური დროის რეჟიმი*** - მაუწყებლობის ტრანზიტი ხელშეკრულების 2.3.4 და 4.3 პუნქტებით განსაზღვრული გადახვევა-დაპაუზების უფლებით.

1.7. **"ტრანზიტორის აბონენტი(აბონენტი)"** - პირი, რომელსაც ტრანზიტორისგან მიეწოდება მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურება. აბონენტების რაოდენობის გამოთვლისას მხარეები იხელმძღვანელებენ ტრანზიტორის

მიერ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიითვის (შემდგომში "კომისია") მიწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით.

2. <u>ხელშეკრულების საგანი</u>

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე კომპანია გადასცემს ტრანზიტორს უფლებას, 2018 წლის 28 სექტემბრიდან 2019 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით განახორციელოს 2.3.1. პუნქტში მითითებული მაუწყებლების მაუწყებლობის ტრანზიტი, როგორც რეალური ასევე არარეალური დროის რეჟიმში, ხოლო ტრანზიტორი კისრულობს ვალდებულებას, აუნაზღაუროს კომპანიას ფასიანი ტრანზიტის ღირებულება ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული ოდენობითა და პირობების დაცვით.

2.2. ტრანზიტორი ვალდებულია, მაუწყებლობის ტრანზიტი განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

2.3. ტრანზიტის ძირითადი პირებები:

2.3.1.	მაუწყებლები	ტელეარხები იმედი, მაესტრო, GDS
2.3.2.	მაუწყებლობის ტრანზიტის განხორციელების ტექნოლოგია	კაბელი
2.3.3.	უფლების მესამე პირებზე გადაცემა	აკრძალული.
2.3.4.	მონტაჟი ან/და რედაქტირება ან/და ნებისმიერი სახით ცვლილება	დაუშვებელია ტრანზიტორის მიერ პროგრამების/გადაცემების მონტაჟი ან/და რედაქტირება, დასაშვებია სატელევიზიო არხების, მათი პროგრამების/გადაცემების გადახვევა დაპაუზება 10 (ათი) დღის ვადით (*time shifting* უფლება),

3. <u>ღირებულების განსაზღვრის წესი და გადახდა</u>

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ტრანზიტორის მიერ განხორციელებული 2.3.1. პუნქტში აღნიშნული მაუწყებლების მაუწყებლობის ფასიანი ტრანზიტის ყოველთვიური ღირებულება შეადგენს შესაბამის კალნდარულ თვეში ტრანზიტორის თითოეულ აბონენტზე 0.75 (ნული მთელი სამოცდათხუთმეტი მეასედი) ლარს (დღგ-ს გარეშე), კერძოდ ტელეარხ მაესტროს ტრანზიტის ღირებულება შეადგენს 0.01 ლარს (დღგ-ს გარეშე), ტელეარხ GDS ის ტრანზიტის ღირებულება შეადგენს 0.01 ლარს (დღგ-ს გარეშე), ხოლო ტელეარხ იმედის ტრანზიტის ღირებულება შეადგენს 0.73 ლარს (დღგ-ს გარეშე).

3.2. ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ღირებულების გადახდა ტრანზიტორის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ლარში, არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა ღირებულებას ტრანზიტორი გადაიხდის ხელშეკრულების ბოლო გვერდზე მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე: ტრანზიტორის მიერ კომპანიისთვის გადახდილი თანხებიდან ა) პირველ რიგში დაიფარება პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ბ) მეორე რიგში დაიფარება ზიანის ასანაზღაურებელი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გ) მესამე რიგში დაიფარება ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ღირებულებაა), ბ) და გ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანხების დაფარვის შემდეგ მიღებული თანხები წარმოადგენს ავანსს.

3.4. მხარეები ყოველთვიურად გააფორმებენ მიღება - ჩაბარების აქტს შემდეგი წესით: ტრანზიტორი ვალდებულია, არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა წერილობით წარუდგინოს კომპანიას საანგარიშო თვეში მისი აბონენტების ჯამური რაოდენობა. აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება კომპანიისათვის შესაძლებელია მის ფაქტიურ მისამართზე გაგზავნილი დაზღვეული წერილის სახით. კომპანია უგზავნის ტრანზიტორს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის(ების) მიერ ხელმოწერილ მიღება ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული იქნება ტრანზიტის შესაბამისი საანგარიშო თვის ჯამური ღირებულება; ტრანზიტორი მიღება - ჩაბარების აქტის მიღებიდან 1 დღის ვადაში ვალდებულია, დაუბრუნოს კომპანიას მისი წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის(ების) მიერ ხელმოწერილი აქტი ან გაუგზავნოს კომპანიას მიღება - ჩაბარების აქტთან დაკავშირებული პრეტენზიები მისი მიღებიდან 1 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ ტრანზიტორი მიღებულ აქტს დაეთანხმა.

4. <u>**მხარეთა უფლება - ვალდებულებები და განცხადებული გარანტიები**</u>

4.1. ტრანზიტორი ვალდებულია, უზრუნველყოს მაუწყებლის სატელევიზიო სიგნალის იმავე ხარისხით, გავრცელება რა ხარისხითაც მაუწყებლის მხრიდან მოხდება ტრანზიტორისათვის სიგნალის მიწოდება.

4.2. ტრანზიტორი ვალდებულია გაავრცელოს სიგნალი უცვლელი სახით და არ შეიტანოს რაიმე ცვლილებები მაუწყებლის სამაუწყებლო ბადეში, ან/და პროგრამებში, გადაცემებში(მათ შინაარსში), ტრანზიტორს უფლება აქვს, განახორციელოს მაუწყებლების ეთერში გასული პროგრამების ცენტრალურ სერვერებზე ჩაწერა 10 დღის ვადით მხოლოდ აბონენტებისათვის მათი გადახვევის ან/და დაპაუზების (time shifting) შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით (NPVR, PVR). ტრანზიტორის მიერ აღნიშნული უფლებით სარგებლობის შემთხვევაში, აბონენტებს ექნებათ შესაძლებლობა, სატელევიზიო არხებზე არაუმეტეს ბოლო 10 (ათი) დღის განმავლობაში გასულ ნებისმიერ პროგრამას უყურონ მათთვის სასურველ დროს;

4.3. ტრანზიტორი იძლევა გარანტიას, რომ მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი აქვს შესაბამისი ავტორიზაცია ან/და მოპოვებული აქვს ყველა უფლება (ლიცენზია თუ სხვა), რაც საჭიროა მაუწყებლობის ტრანზიტის განხორციელებისთვის.

4.4. ტრანზიტორი ვალდებულია დამოუკიდებლად განახორციელოს მაუწყებლობის სიგნალის მის ტექნიკურ საშუალებამდე მიტანა და მისი აბობენტებისთვის მიწოდება, კომპანიის ჩარევისა და მისთვის რაიმე სახის ხარჯის გაღების დაკისრების გარეშე;

4.5. მხარეები ვაცხადებთ შეუქცევად დასტურს მასზედ, რომ ჩვენს შორის წინასახელშეკრულებო მოლაპარაკება წარიმართა და წინამდებარე ხელშეკრულება (მისი ყველა პირობა) დაიდო საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით, მათ შორის ორმხრივად, სრულად იქნა დაცული "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 40[1] მუხლით განსაზღვრული "კეთილსინდისიერი მოლაპარაკების პრინციპი.

4.6. ტრანზიტორი ვალდებულია, მიაწოდოს კომისიას ზუსტი ინფორმაცია მისი აბონენტების რაოდენობის შესახებ.

5. <u>**პასუხისმგებლობა**</u>

5.1. ტრანზიტორის მიერ კომპანიისთვის გადასახდელი თანხის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, კომპანიას უფლება აქვს მოთხოვოს, ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, ტრანზიტორი ვალდებულია, გადაუხადოს მას პირგასამტეხლო - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.2 % ის ოდენობით. ვადისდარღვევის შემთხვევაში, კომპანია ასევე უფლებამოსილია შეუჩეროს ტრანზიტორს ამ ხელშეკრულებით გათალისწინებული მაუწყებლობის ტრანზიტის უფლება, ვიდრე ტრანზიტორი არ დაფარავს დავალიანებას და არ გადაიხდის დაკისრებულ პირგასამტეხლოს.

5.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და ზიანის ანაზრაურების ვალდებულებისაგან.

5.3. ამ ხელშეკრულების 3.5. პუნქტით გათვალისწინებული აბონენტების ჯამური რაოდენობის შესახებ ტრანზიტორის მხრიდან კომპანიისათვის მცდარი მონაცემის მიწოდების შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია მოსთხოვოს ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში ტრანზიტორი ვალდებულია გადაუხადოს მას პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული, თითოეული აბონენტისათვის დადგენილი ფასის ორმაგი ოდენობით იმდენ ტრანზიტორის აბონენტზე რამდენი აბონენტიც არ იყო ნაჩვენები/აღრიცხული ტრანზიტორის მიერ კომპანიისათვის გაგზავნილ წერილობით მონაცემში/დოკუმენტში, პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნეს ამგვარი მოთხოვნის წაყენებიდან 10 სამუშაო დღეში;

5.4. მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის მხარე რომელსაც მიადგა რაიმე სახის ზიანი მეორე მხარის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, უფლებამოსილია ვალდებულების დამრღვევ მხარეს მოსთხოვოს მიყენებული ზიანის ანაზრაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით;

6. <u>დაუძლეველი ძალა (ფორს–მაჟორი)</u>

6.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან/და არაჯეროვნად შესრულების პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი ჯეროვანი შესრულება შეუძლებელი იყო დაუძლეველ ძალთა მოქმედების გამო, ანუ ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა: სტიქიური მოვლენები, ხანძარი, საომარი მოქმედებები, რევოლუცია, ცვლილებები კანონმდებლობაში, გაფიცვები დარგში, და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა ნებაზე.

6.2. მხარე, რომელიც დაუძლეველ ძალთა გარემოებების გამო ვერ ასრულებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ვალდებულია დაუყონებლივ, არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს (გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილი გახდება). ასეთ შემთხვევაში, მხარეთა წარმომადგენლებმა უმოკლეს ვადებში უნდა გაიარონ კონსულტაციები და შეათანხმონ ზომები, რომელთა გატარება აუცილებელია.

6.3. ასეთი გარემოებების დადგომის და ხანგრძლივობის ფაქტი უნდა იყოს დამოწმებული შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების (ასეთის/ების არსებობის შემთხვევაში), ანდა ორგანიზაციების მიერ გაცემული დოკუმენტით, როცა რომელიმე მხარე სადაოდ ხდის ასეთი გარემოების დადგომის და ხანგრძლივობის ფაქტს, თუ აღნიშნული გარემოება საყოვლთაოდ ცნობილი არ არის.

6.4. ასეთი გარემოებების დადგომის შესახებ არადროული შეტყობინება, ან/და შეუტყობინებლობა ართმევს მხარეს უფლებამოსილებას, გაითავისუფლოს თავი მოცემული შეთანხმებით დაკისრებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის, ანდა არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისაგან.

6.5. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლით გათვალისწინებული ფორსმაჟორული გარემოება, რომლის ზეგავლენის შედეგად მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებლობა გაგრძელდა 30 კალენდარული დღეზე მეტი ხნით, მეორე მხარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ვადაზე წინსაწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

7. <u>ხელშეკრულების მოქმედების ვადები და შეწყვეტის პირობები</u>

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე 2018 წლის 28 სექტემბერს და მოქმედებს 2019 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით.

7.2. მხარეებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მათთვის მეორე მხარის მიერ ყოველგვარი სანქციისა თუ ზიანის ანაზღაურების დაკისრების გარეშე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ვადაზე ადრე, მეორე მხარისთვის შეწყვეტის სასურველ თარიღამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ასევე მხარეებს შეუძლიათ მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმებით;

7.3. მხარეებს აქვთ უფლება შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება მხარის მიერ მეორე მხარისათვის (ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარე) ყოველგვარი სანქციისა თუ ზიანის ანაზღაურების დაკისრების გარეშე იმ შემთხვევაში თუ: ა) კომპანია ნებისმიერი მიზეზით დაკარგავს რომელიმე, რამდენიმე ან ყველა მაუწყებლის მაუწყებლობის ტრანზიტის უფლებას, (მათ შორის იმ მიზეზით რომ კომპანიასა და რომელიმე, რამდენიმე ან ყველა მაუწყებელს შორის დადებული ხელშეკრულება შეწყდება ნებისმიერი მიზეზით ან/და ბ) ტრანზიტორს შეუწყდება მაუწყებლობის ტრანზიტის უფლება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით.

8. <u>დავის გადაწყვეტის წესი</u>

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.2. დავები და უთანხმოება, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისას, შეძლებისდაგვარად გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.

8.3. თუ დავის გადაწყვეტა შეუძლებელია მოლაპარაკების გზით, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლო შესაბამის ინსტანციას.

9. <u>დასკვნითი დებულებები</u>

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილი და ხელმოწერილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე (თითო ეგზემპლიარი გადაეცა ორივე მხარეს).

9.2. ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სხვა ნაწილების ბათილობას.

9.3. ამ ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მხოლოდ თუ შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

9.4. მხარეები ვალდებული არიან, შეატყობინონ ერთმანეთს თავისი იურიდიული და საფოსტო მისამართების, საბანკო რეკვიზიტების, ტელეფონის ნომრებისა და ფაქსის ცვლილების შესახებ 2 (ორი) დღის განმავლობაში.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები სავალდებულო არის მხარეთა სამართლამემკვიდრეებისთვის, მათ შორის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, დაქვემდებარების და საკუთრების ფორმის შეცვლის შემთხვევაშიც.

მხარეთა ხელმოწერა

კომპანია	**ტრანზიტორი**
შპს „ტელეიმედი“	**შპს "ჯეო ჩენელზ"**
ს/კ: 202188612	ს/კ 402099778
თბილისი, ლუბლიანას 5	თბილისი, გ.ლეონიძის 11ა/217
სს “საქართველოს ბანკი”	სს “თიბისი ბანკი”
ა/ნ: # GE77BG0000000469460800	ა/ნ: # GE67TB7606236080100006
ბ/კ : BAGAGE22	ბ/კ : TBCBGE22
----------	----------